საიდ. N 76134/03

IR 830015

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №89-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან - საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ, შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), თ. ჯაფარიძე, ა. დალაქიშვილი, ლ. ახობაძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ვიზ ეარ ჰანგარი კფტ.“ (WIZZ Air Hungary Kft.) (მის.: ბუდ ნემზეტკოზი რეპულოტერ, (ბუდ ინთერნეიშენალ ეარპორტ); 221. ეპ., H-1185 ბუდაპეშტი, უნგრეთი; BUD Nemzetközi Repulotér, (BUD International Airport) 221. ép., H-1185 Budapest, Hungary.) N89-03/15 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვლის ნაწილის მიმართ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 19 მარტის N1044/03 ბრძანების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე 41-ე კლასის მომსახურების

განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის „WIZZ“ (საიდ. N76134/03, IR 830015) დაცვის მინიჭება, 41-ე კლასის მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 19 მარტის N1044/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სერეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „WIZZ” მსგავსია კომპანიის „ვიზ ედუქეიშენ ლიმიტიდ” (WHIZZ EDUCATION LIMITED) (მის.: მაკმილან ჰაუზ, პადინგტონ სტეიშენ, ლონდონი W2 1FT, დიდი ბრიტანეთი; Macmillan House, Paddington Station, London W2 1FT, GB.) სახელზე 41-ე კლასის მსგავსი მომსახურების ჩამონათვლის მიმართ რეგისტრირებული და საქართველოზე გავრცელებული კომბინირებული ნიშნისა „whizz“ (IR 850948; საერთაშორისო რეგ. თარიღი 2005-03-16; გავრცელების თარიღი: 2011-11-21). დაპირისპირებული ნიშანი შეიცავს ლათინური ანბანით შესრულებულ სიტყვიერ ელემენტს - ,,whizz'', რომელიც სიტყვიერ ელემენტთან ერთად შეიცავს გამოსახულებით ელემენტებს, ხოლო წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი შედგება მხოლოდ ლათინური ანბანით შესრულებული სიტყვიერი ელემენტისგან - ,,wizz'', მაგრამ აღნიშნული დამატებითი ელემენტები ნიშნებს ვერ სძენს სათანადო განმასხვავებლობას, ვინაიდან სასაქონლო ნიშნებში დომინანტ ელემენტებს წარმოადგენენ სიტყვიერი ნაწილები. დაპირისპირებული ნიშნების სიტყვიერი ელემენეტები მსგავსია, როგორც ვიზუალურად ისე

ფონეტიკურად. ორივე სასაქონლო ნიშანი შესრულებულია ლათინური ანბანით და მათ შორის უმნიშვნელო განსხვავებას ქმნის მხოლოდ დაპირისპირებული ნიშნის მეორე ასო - ,,h''. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ასევე მსგავსია ფონეტიკური თვალსაზრისით, ვინაიდან აქვთ აღრევამდე მსგავსი ჟღერადობა და მომხმარებლის მიერ გამოითქმის როგორც - ,,ვიზ''. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იქმნება ნიშნებს შორის აღრევისა და შესაბამისად მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა. აღნიშნულის გამო, განცხადებულ ნიშანს, ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ'' პუნქტის საფუძველზე, უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე 41-ე კლასის მომსახურების ჩამონათვლის ნაწილის მიმართ: გართობა (entertainment).

აპელანტი არ ეთანხმება ექსპერტიზის გადაწყვეტილებას და მიაჩნია, რომ არ არსებობს განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის დაცვის მინიჭებაზე, ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, უარის თქმის საფუძველი. აპელანტი არ დაობს დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების ფონეტიკურ მსგავსებასთან დაკავშირებით, ვინაიდან, მიაჩნია, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც - „ვიზ“. ამასთან, აპელანტის აზრით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავდებიან სემანტიკური და ვიზუალური თვალსაზრისით. კერძოდ, აპელანტის მტკიცებით, განცხადებული ნიშანი შედგება ოთხი მთავრული ასოსგან WIZZ, ყველა ასო ერთი სიმაღლისაა, ცალკე რომელიმე ასოზე ყურადღების შეჩერება ვერ მოხერხდება, სიმბოლო აღიქმება ერთობლიობაში, განსხვავებით დაპირისპირებული ნიშნისგან, რომელიც კომბინირებულია, შედგება გამოსახულებითი და სიტყვიერი ელემენტებისგან. ნიშნის გამოსახულებით ელემენტს წარმოადგენს მართკუთხედი მუქი ფონით, რომლის ქვედა ნაწილში დატანილია ლათინური ანბანის პატარა ასოებით შესრულებული სიყვიერი აღნიშვნა - whizz, სიტყვიერ ელემენტებს განასხვავებს დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანში

არსებული ასო - „h” და ასევე, ასო - „i”, რომელსაც წერტილის ნაცვლად აქვს რგოლი. მას მოსდევს მეორე უფრო დიდი და მესამე კიდევ უფრო დიდი რგოლი, ეს უკანასკნელი კი სცდება მართკუთხედის მარცხენა ზედა კუთხეს, მთლიანობაში მხედველობითი აღქმით ყურადღებას იპყრობენ აღნიშნული რგოლები და მუქი ფონი. ამას გარდა, აპელანტის აზრით, დაპირისპირებულ სასაქონლი ნიშანს, აქვს აზრობრივი მნიშვნელობა, კერძოდ „ქართულ-ინგლისური ლექსიკონის“ 2005 წლის გამოცემის თანახმად (გვ. 1022) „whizz“ ნიშნავს „ჰაერის შხულის“, „ზუზუნს“, „სტვენას“. აქედან გამომდინარე, სიმბოლოში განთავსებული რგოლები შეიძლება აღიქვას ჰაერის ბუშტებად მაშინ, როდესაც განცხადებული სიმბოლო ფანტაზიურია და არა აქვს აზრობრივი დატვირთვა.

აპელანტის აზრით, ნიშნებს შორის მსგავსების დადგენის სამი კრიტერიუმიდან ნიშნები ერთმანეთისგან განსხვავდება ორით, რაც გამორიცხავს ნიშნების აღრევას.

აპელანტი განმარტავს, რომ ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდება კომპანიის საფირმო სახელწოდების დაცვა, აღნიშნულის გამო ისინი მის დაცვას ახორციელებენ, საფირმო სახელწოდების სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გზით, რასაც ადგილი აქვს ამ კონკრეტულ შემთხვევაში. კერძოდ, დაპირისპირებული ნიშნის მფლობელია კომპანია „WHIZZ EDUCATION LIMITED“ (ვიზ ედუქეიშენ ლიმიტიდ) (დიდი ბრიტანეთი), რომლის საქმიანობა დასახელებიდან, დაცული საქონლისა და მომსახურებიდან გამომდინარე დაკავშირებულია სწავლასთან, მათ შორის ინტერაქტიულ რეჟიმში. რაც შეეხება განცხადებულ სიმბოლოს, ისიც წარმოადგენს აპელანტის „ვიზ ეარ ჰანგარი კფტ.” დასახელების ნაწილს. ამასთან, აპელანტი განმარტავს, რომ საქართველოში დაცულია რიგი სასაქონლო ნიშნები მაგ. IR 942429, IR 830763, და IR 850697, რომლებიც არსებობენ საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე. აქედან, გამომდინარე აპელანტის მტკიცებით, აშკარაა, რომ განცხადებული

ნიშანი მიეკუთვნება მის სერიულ ნიშანთა რიცხვს და შესაბამისად, მისი დაპირისპირებულ ნიშანთან აღრევის ალბათობა ნაკლებია.

გარდა ამისა, აპელანტმა წარმოადგინა დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის მიერ გაცემული თანხმობის წერილი, რომლის თანახმადდგინდება, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის „whizz“ (IR 850948; საერთაშორისო რეგ. თარიღი 2005-03-16; გავრცელების თარიღი: 2011-11-21) მფლობელი კომპანია „ვიზ ედუქეიშენ ლიმიტიდ” (WHIZZ EDUCATION LIMITED), თანახმაა კომპანიის, „ვიზ ეარ ჰანგარი კფტ.“ (WIZZ Air Hungary Kft.) სახელზე განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „WIZZ“ (საიდ. N76134/03, IR 830015) მიენიჭოს დაცვა საქართველოში, მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტი ითხოვს, ბათილად იქნას ცნობილი „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვლის ნაწილის მიმართ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 19 მარტის N1044/03 ბრძანება იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის „WIZZ“ (საიდ. N76134/03, IR 830015) დაცვის მინიჭებას, 41-ე კლასის მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. №89-03/15) არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

სააპელაციო პალატის კოლეგია არ იზიარებს აპელანტის პოზიციას განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების განსხვავებაზე და მიაჩნია, რომ განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი „WIZZ“ (საიდ. N76134/03, IR 830015) და დაპირისპირებული კომბინირებული სასაქონლო ნიშანი „whizz“ (IR 850948) წარმოადგენენ აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. ნიშნები მსგავსია, როგორც ვიზუალური, ისე ფონეტიკური თვალსაზრისით.

ნიშნები მსგავსია ვიზუალურად, რადგან დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების სიტყვიერი ნაწილები შესრულებულია ლათინური ანბანით. განცხადებული სასაქონლო ნიშანი შედგება ოთხი ასოსგან, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი ხუთი ასოსგან. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები შეიცავენ იდენტურ ასოებს, მათ შორის განსხვავებას ქმნის მხოლოდ დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნის მეორე ასო - „h“. მიუხედავად იმისა, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი შეიცავს გამოსახულებით ელემენტებს, კერძოდ, შავ ფერში შესრულებულ მართკუთხედს და სამ, ზრდადობის მიხედვით განლაგებულ ოვალური ფორმის წრეს, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ დაპირისპირებულ ნიშანში დომინანტ ელემენტს წარმოადგენს სიტყვიერი ნაწილი - „whizz” და სწორედ აღნიშნულ სიტყვაზე მოდის განმასხვავებლობის ძირითადი დატვირთვა. რაც შეეხება დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის გამოსახულებით ელემენტებს, ისინი წარმოადგენენ მარტივ გეომეტრიულ ფიგურებს და ვერ სძენენ ნიშანს საკმარის განმასხვავებლობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეგიას მიაჩნია, რომ

დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს შორის იმდენად დიდია ვიზუალური მსგავსება, რომ მოხდება სასაქონლო ნიშნების აღრევა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ჟღერადობით იდენტურია და მომხმარებლის მიერ გამოითქმის როგორც - ,,ვიზ“.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ სემანტიკური თვალსაზრისით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავებულია, ვინაიდან განხადებულ სასაქონლო ნიშანს - „WIZZ“ არ აქვს აზრობრივი დატვირთვა, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „whizz“ ინგლისურიდან ქართულ ენაზე ითარგმნება, როგორც „ჰაერის შხული“, „ზუზუნი“, და „ზუილი“. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ქართველი მომხმარებელი არ წარმოადგენს ინგლისურენოვან მომხმარებელს, შესაბამისად მისთვის განცხადებული ნიშნის სემანტიკური მნიშვნელობა ნაკლებად არის ცნობილი .

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ვიზ ეარ ჰანგარი კფტ.“ (WIZZ Air Hungary Kft.) (სააპელაციო საჩივარი (საიდ. №89-03/14) არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, 2015 წლის 19 მარტის N1044/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ს. მუჯირი

წევრები: თ. ჯაფარიძე

ა. დალაქიშვილი